03/04/2025

სემინარიის III კურსის სტუდენტები ანჩისხატში

ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა გაცნობისა და უკეთ შესწავლის მიზნით, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტებს ხშირად უტარდებათ ლექცია-სემინარები მუზეუმებში, ეკლესია-მონასტრებსა თუ სხვადასხვა ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის მქონე ადგილებში. გასვლითი ღონისძიებების ორგანიზება თსასის სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.
ამჯერადაც, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის ორგანიზებით, სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტებს ლექცია ქართული ხელოვნების ისტორიაში ანჩისხატის ტაძარში ჩაუტარდათ.

ხელოვნების ისტორიის პედაგოგი, ქალბატონი რუსუდან ვაშალომიძე, სტუდენტებს ესაუბრა ანჩისხატის უძველესი ტაძრის ისტორიისა და არქიტექტურული მახასიათებლების შესახებ. აღნიშნა, რომ ანჩისხატი, VI საუკუნით დათარიღებული სამნავიანი ბაზილიკა, თბილისის ყველაზე ძველი საეკლესიო ნაგებობაა; ღვთისმშობლის შობის ტაძრის დღევანდელი სახელწოდება – ანჩისხატი – 1664 წელს სამხრეთ საქართველოდან, ანჩის მონასტრიდან, აქ ჩამოსვენებულ მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს უკავშირდება... ქ-მა რუსუდანმა დეტალურად გააცნო სტუდენტებს

ტაძრის სიძველის დამადასტურებელი არტეფაქტები, ისაუბრა ანჩისხატის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლის, მნიშვნელობაზე.

ლექციის დასრულების შემდეგ სტუდენტებს შეხვდა ტაძრის დეკანოზი, მღვდელი მიქაელ ღვალაძე. მამა მიქაელმა დალოცა სტუდენტები, გულთბილად უმასპინძლა და ბევრი საგულისხმო რამ მოუთხრო ანჩისხატის ტაძრის წარსულისა და აწმყოს შესახებ.

tsas.ge